



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №7

18 იანვარი 2018 წ.

ქ. მარნეული

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ნოემბრის „მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მითითების ოქმის და შემოქმედების აქტის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ #51 დადგენილებაში ცვლილების შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტის საფუძველზე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

შევიდეს ცვლილება მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ნოემბრის „მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მითითების ოქმის და შემოქმედების აქტის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ #51 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge; 010260020.35.159.016300; 04/12/2017წ) და პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ნ“ პუნქტის და მე-3 ნაწილის, 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის, 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს კანონი „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“ მე-19 მუხლის მე-13 პუნქტის და 25-ე მუხლის მე-4, მე-5, მე-6 და მე-9 პუნქტის საფუძველზე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:“.

მუხლის 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:

ამირან გიორგაძე